გურთიად
GÜRTİAD

*HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ*

*კვირის ეკონომიკური გამოცემა*

*26 Şubat / თებერვალი 2024*

| Nüfus / მოსახლეობა | GSYİH ($) / მშპ ($) | GSYH (büyüme) /მშპ | İşsizlik / უმუშევრობა | Enflasyon /ინფლაცია |
|---|---|---|---|---|
| 3 736.4 | 6 731.2 | 11% | 17.3 % | 0.0% |

## Gürcistan Başbakanı T.C. Tiflis Büyükelçisi İle Görüştü

## საქართველოს პრემიერ-მინისტრი თურქეთის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა



Gürcistan Başbakanı Irakli Kobakhidze Gürcistan'ın Olağanüstü ve Tam Yetkili Türkiye Cumhuriyeti Büyükelçisi, Ali Kaan Orbay ile bir araya geldi.

Toplantıda, iki ülke arasındaki mevcut stratejik ortaklığa ve işbirliğinin geliştirilmesine yönelik perspektiflere değinildi. Bölgesel jeostratejik projelerde Gürcistan ve Türkiye'nin aktif işbirliği de dahil olmak üzere ekonomik işbirliği konularına önem verildi. Mevcut bölgesel projelerin iki ülke arasındaki etkin ve güvenilir ortaklığın açık bir örneği olduğunu kaydedildi.

Ayrıca bölgedeki durumu da ele alındı. Bölgenin ekonomik kalkınması ve uzun vadeli refahının sağlanması için barış ve istikrarın önemi vurgulandı.

Gürcistan tarafından, Türkiye Cumhuriyeti'nin ülkenin egemenliği ve toprak bütünlüğünü desteklediğini, ayrıca tanımama politikasını da takdir edildiğini kaydedilmiştir.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ალი ქაან ორბაის შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის არსებულ სტრატეგიულ პარტნიორობას და თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებს. ყურადღება გამახვილდა ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე, მათ შორის განიხილეს რეგიონულ გეოსტრატეგიულ პროექტებში საქართველოსა და თურქეთის აქტიური თანამშრომლობა. აღინიშნა, რომ არსებული რეგიონული პროექტები ორ ქვეყანას შორის ეფექტიანი და საიმედო პარტნიორობის ნათელი მაგალითია.

განიხილეს ასევე რეგიონში არსებული ვითარება. ხაზი გაესვა რეგიონის შემდგომი განვითარებისა და გრძელვადიანი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად მშვიდობისა და სტაბილურობის მნიშვნელობას.

აღინიშნა, რომ საქართველო აფასებს თურქეთის მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე არაღიარების პოლიტიკის მიმართულებით.

## Türkiye-Azerbaycan Ticaret Hacmi İlk Kez 7,5 Milyar Dolara Ulaştı

## თურქეთ-აზერბაიჯანის სავაჭრო ბრუნვამ 7,5 მილიარდ დოლარს პირველად მიაღწია



5'inci kez Azerbaycan Cumhurbaşkanı seçilen İlham Aliyev, ilk resmi yurtdışı ziyareti için Türkiye'ye gitmiş olup 19 Şubat 2024 tarihinde Türkiye Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan ile görüşme gerçekleştirmiştir. Görüşmenin ardından yapıldığı basın toplantısında Erdoğan, 2 ülke arasındaki ticaret hacminin 7,5 milyar dolara ulaştığını belirterek şunları söyledi:

"Toplam ticaret hacmimiz geçtiğimiz sene ilk defa 7,5 milyar dolar seviyesini yakaladı. 15 milyar dolarlık hedefimize ulaşmak için gayretlerimizi arttırma kararlılığındayız. Kritik meydan okumaların yaşandığı bir dönemde ülkelerimizin ulaştırma ve enerji alanlarındaki potansiyelini geliştirmemiz gerektiği aşikardır. Bakü-Tiflis-Kars Demiryolu Hattı esasen bunun en somut örnekleri arasında yer alıyor. Bu hattan en yüksek verimi alabilmemiz için yenileme çalışmalarının ivedilikle tamamlanması lazım. Eylül ayında Türk Kapısı Nahçıvan'ı ziyaretim sırasında Kars-Nahçıvan Demiryolu Projesi'ne ilişkin niyet protokolünü bu anlayışla imzaladık. TANAP'ın kapasitesinin arttırılması ve Hazar doğal gazının Türkiye'ye ve Avrupa'ya aktarılması bu kulvardaki önceliklerimiz arasındadır. Nahçıvan ziyaretim sırasında temelini attığımız Iğdır-Nahçıvan Doğalgaz Boru Hattı Projesi ile enerji işbirliğimize yeni bir boyut kazandırdığımızı da hatırlatmak isterim."

აზერბაიჯანის პრეზიდენტად მეხუთედ არჩეულმა ილჰამ ალიევმა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ პირველი ვიზიტი თურქეთში გამართა და 19 თებერვალს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთს რეჯეფ თაიფ ერდოღანს შეხვდა.
შეხვედრის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ერდოღანმა აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვამ 7,5 მილიარდ დოლარს მიაღწია.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K777 LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

„გასულ წელს ორ ქვეყანას შორის ჯამურმა სავაჭრო ბრუნვამ პირველად მიაღწია 7,5 მილიარდი დოლარის ნიშნულს. ჩვენ მზად ვართ, გავაძლიეროთ მუშაობა იმისათვის, რომ ავიდეთ მიზნად დასახულ, 15 მილიარდი დოლარის რეკორდულ მაჩვენებელზე. ცხადია, რომ კრიტიკული გამოწვევების პერიოდში საჭიროა ქვეყნებს შორის ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროებში არსებული პოტენციალის განვითარება. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა კი ამის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია. იმისათვის, რომ ამ რკინიგზიდან მაქსუმუმი მივიღოთ, საჭიროა დაუყოვნებლივ დასრულებულ იქნას რეკონსტრუქციული სამუშაოები. სწორედ ამ სულისკვეთებით, სექტემბერში, როდესაც მე ნახიჩევანში ვიმყოფებოდი, ხელი მოვაწერეთ ყარსი-ნახიჩევანის რკინიგზის პროექტის შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. TANAP-ის (ტრანს-ანატოლიური მილსადენი) გამტარუნარიანობის გაზრდა და კასპიის ბუნებრივი აირის თურქეთსა და ევროპაში მიწოდება ამ მიმართულებით პრიორიტეტულ სფეროებს შორისაა. მინდა ასევე შეგახსენოთ, რომ ნახიჩევანში ოფიციალური ვიზიტის დროს საფუძველი ჩავუყარეთ იღდირი-ნახიჩევანის გაზსადენს პროექტს, რომელმაც ახალი მასშტაბი შესძინა ჩვენს თანამშრომლობას ენერგეტიკის სფეროში“ განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა.

## Tiflis’te İlk Atık İşleme Tesisi Kurulacak

## თბილისში ნარჩენების გადამამუშავებელი პირველი ქარხანა აშენდება



Gürcistan, “Tiflis Atık Geri Dönüşüm Projesi” için Avrupa İmar ve Kalkınma Bankası'ndan 26 milyon Euro alacaktır.
20 Şubat 2024 tarihinde Avrupa İmar ve Kalkınma Bankası (EBRD) ile Gürcistan arasında "Tiflis Atık Geri Dönüşüm Projesi" kredi anlaşması imzalandı.
Belge, Maliye Bakanı Lasha Khutsishvili ile Avrupa İmar ve Kalkınma Bankası'nın Kafkasya Bölge Direktörü Alkis Vryenios Drakinos tarafından imzalanmıştır.
Ayrıca Avrupa İmar ve Kalkınma Bankası ve Tiflis Belediyesi arasında, Tiflis Belediye Başkanı Kakha Kaladze ile Avrupa İmar ve Kalkınma Bankası Kafkasya Bölge Direktörü, Alkis Vryenios Drakinos tarafından proje destek anlaşması imzalandı.

Avrupa İmar ve Kalkınma Bankası ve Yeşil İklim Fonu (GCF), "Tiflis Atık Geri Dönüşüm Projesi"nin uygulanması için toplam 26 milyon Euro değerinde, uzun vadeli finansman sağlayacaklardır.
Kredi parası, bir ayırma tesisi ve malzeme geri kazanım tesisinin inşasını da kapsayan atık arıtımı için uygun bir altyapının kurulması için kullanılacak.
Proje, Tbilservice Group aracılığıyla Tiflis Belediyesi tarafından yürütülecektir.

თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტისთვის საქართველო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან 26 მლნ ევროს მიიღებს.
2024 წლის 20 თებერვალს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა (EBRD) და საქართველოს შორის, ხელი მოეწერა „თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტის" სასესხო შეთანხმებას.
დოკუმენტს ხელი მოაწერეს ფინანსთა მინისტრმა, ლაშა ხუციშვილმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კავკასიის რეგიონულმა დირექტორმა, ალკის ვრიენიოს დრაკინოსმა.
ასევე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა და ქ. თბილისის მერიას შორის გაფორმდა პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს ქალაქ თბილისის მერმა, კახა კალაძემ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, კავკასიის რეგიონულმა დირექტორმა, ალკის ვრიენიოს დრაკინოსმა.



თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტის განსახორციელებლად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და მწვანე კლიმატის ფონდი (GCF) ჯამურად გამოყოფს 26 მლნ ევროს ოდენობის გრძელვადიან ფინანსურ რესურსს.
სესხის თანხები მოხმარდება ნარჩენების დამუშავების სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობას, რომელიც მოიცავს დახარისხების ობიექტის და მასალების აღმდგენი ობიექტის მშენებლობას.
პროექტს განახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი შპს „თბილსერვის ჯგუფის" მეშვეობით.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · K777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bank

## Ekonomi Bakan Yardımcısı, Tiflis Uluslararası Havalimanı'nda Yürütülmüş Yeniden Yapılanma Çalışmalarıyla Tanıştı

## ეკონომიკის მინისტრის მოადგილე თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების შედეგებს გაეცნო

Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakan Yardımcısı Mariam Kvrivishvili, Tiflis Uluslararası Havalimanı’nda halihazırda uygulanmış ve devam eden çalışmaları yerinde incelerken, "Tav Georgia" yöneticilerinden havalimanında uygulanacak diğer altyapı projeleri hakkında bilgi aldı.

Bakan Yardımcısı ile birlikte, Gürcistan Sivil Havacılık Ajansı Müdürü Givi Davitashvili ve Gürcistan Havalimanları Birliği Genel Müdürü Irakli Karkashadze de Tiflis havalimanında hazır bulunmuşlardır.

Ekonomi Bakan Yardımcısı, "Tiflis Uluslararası Havalimanı'nda önemli çalışmalar tamamlandı - çıkış terminali yeniden inşa edildi, bunun sonucunda sınır ve güvenlik kontrol noktalarının kapasitesi yüzde 44 arttı. Gürcistan’ın ana havalimanı için bu çok önemlidir, çünkü 2024’te direkt uçuş sayısının yanı sıra yolcu akışının da artacağına dair oldukça olumlu beklentilerimiz var" diye konuştu.



Yürüyen merdivenlerin yanındaki boşlukların kısmen doldurulması öngören projenin tamamlanmasının ardından ilave 220 metrekarelik alan ortaya çıkmıştır, dolaysıyla pasaport kabinlerinin sayısı artarak güvenlik kontrol noktaları da genişletildi. Bu, yolcu akış kapasitesini önemli ölçüde artırır.

Projenin yatırım maliyeti 2 200 000 GEL olup, halihazırda uygulanmış çalışmaların yanı sıra, şu an için inşaatı devam eden business lounge'in genişletilmesi/düzenlenmesi de, ayrıca "Hızlı Koridor" olarak adlandırılan Fast Track’ı da içerir. Fast Track projesi özel ihtiyaç sahibi ve business class yolcuların güvenlik ve sınır kontrol noktalarından mümkün olduğunca hızlı ve konforlu geçişlerine olanak sağlayacaktır.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · K777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bank



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, მარიამ ქვრივიშვილმა ადგილზე დაათვალიერა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში უკვე განხორციელებული და მიმდინარე სამუშაოები, ასევე კომპანია „ტავ ჯორჯიას“ ხელმძღვანელი პირებისგან მოისმინა ინფორმაცია აეროპორტის სივრცეში დაგეგმილი სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

მინისტრის მოადგილესთან ერთად თბილისის აეროპორტში ასევე იმყოფებოდნენ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორი გივი დავითაშვილი და საქართველოს აეროპორტების გაერთიანების გენერალური დირექტორი ირაკლი ქარქაშაძე.

„მნიშვნელოვანი სამუშაოები დასრულდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში - მოხდა გაფრენის ტერმინალის რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც სასაზღვრო, ისევე როგორც უსაფრთხოების გამშვები პუნქტების გამტარუნარიანობა 44%-ით გაიზარდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მთავარი აეროპორტისთვის, რადგან მიმდინარე წელს ჩვენ გვაქვს საკმაოდ პოზიტიური მოლოდინები იმასთან დაკავშირებით, რომ გაიზრდება მგზავრთნაკადი, ისევე, როგორც პირდაპირი საჰაერო რეისების რაოდენობა“, - აღნიშნა ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ.

პროექტის დასრულების შემდეგ, რომელიც ესკალატორებთან მდებარე ღიობების ნაწილობრივ ამოვსებას გულისხმობდა, გაჩნდა დამატებით 220 კვ.მ სივრცე. შესაბამისად, გაიზარდა

საპასპორტო კონტროლის ჯიხურების რაოდენობა და გაფართოვდა საავიაციო უშიშროების შემოწმების ზონა. ეს მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მგზავრთნაკადის გამტარობას.

პროექტის საინვესტიციო ღირებულება 2 200 000 ლარია, ეს მოიცავს როგორც უკვე განხორციელებულ სამუშაოებს, ასევე ამ ეტაპზე მიმდინარე ბიზნესლაუნჯის გაფართოება/კეთილმოწყობისა და ასევე „სწრაფი დერეფნის“, ე.წ. Fast Track-ის პროექტებს, რომელიც სპეციალური საჭიროებებისა და ბიზნესკლასის მგზავრებს საშუალებას მისცემს, მაქსიმალურად სწრაფად და კომფორტულად გაიარონ უსაფრთხოებისა და საზღვრის გამშვები პუნქტები.

## Ocak Ayında İthal Ürünlerin Çoğu- Yüzde 20.3'ü Türkiye'den İthal Edilmiştir

## იანვარში იმპორტირებული პროდუქტის უდიდესი ნაწილი - 20.3% თურქეთიდან შემოვიდა



Ocak 2024'te mal ticarette ithalatın payı %10.1 geriledi.
Söz konusu dönemde, dış ticarette ithalatın payı 1 002.7 milyon doları bulmuştur.
Gürcistan İstatistik Kurumu'na göre, raporlama döneminde ithalatta AB ülkelerinin payı %25.4, BDT ülkelerinin payı %24.3, diğer ülkelerin payı ise %50.3 olarak gerçekleşti.
Ocak ayında Gürcistan'ın ithalatında ilk 10 ticaret ortağının payı %70 oldu. Bu dönemde en çok ürünler Türkiye'den ithal edilmiştir.

**İlk 10 ülke sıralaması aşağıda verilmiştir:**

- Türkiye - 203.1 mln. dolar (%20.3)
- Rusya - 148.4 mln. dolar (%14.8)
- Çin - 76.4 mln. dolar (%7.6)
- ABD - 72.491 mln. dolar (%7.2)
- Almanya - 53.214 mln. dolar (%5.3)
- Azerbaycan - 2.069 mln. dolar (%5.2)
- İtalya - 28.805 mln. dolar (%2.9)
- Birleşik Arap Emirlikleri - 26.375 mln. dolar (%2.6)
- İran - 21.317 mln. dolar (%2.1)
- Polonya - 19.259 mln. dolar (%1.9)
- Diğer ülkeler - 301.276 mln. dolar (%30)

2024 წლის იანვარში იმპორტის წილი საქონლით საგარეო ვაჭრობაში 10.1%-ით შემცირდა. აღნიშნულ პერიოდში იმპორტის ნაწილმა საგარეო ვაჭრობაში ჯამში 1 002.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში იმპორტში ევროკავშირის ქვეყნების წილი 25.4%-ს, დსთ-ს - 24.3%-ს, ხოლო დანარჩენი ქვეყნების 50.3%-ს შეადგენდა.
იანვარში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 70% შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში საქართველოში ყველაზე მეტი პროდუქტი თურქეთიდან შემოვიდა.

**პირველ ათეულში შედის:**

- თურქეთი - 203.1 მლნ. აშშ დოლარი (20.3%)
- რუსეთი - 148.4 მლნ. აშშ დოლარი (14.8%)
- ჩინეთი - 76.4 მლნ. აშშ დოლარი (7.6%)
- აშშ - 72.491 მლნ. აშშ დოლარი (7.2%)
- გერმანია - 53.214 მლნ. აშშ დოლარი (5.3%)
- აზერბაიჯანი - 2.069 მლნ. აშშ დოლარი (5.2%)
- იტალია - 28.805 მლნ. აშშ დოლარი (2.9%)
- არაბთა გაერთიანებული საამიროები - 26.375 მლნ. აშშ დოლარი (2.6%)
- ირანი - 21.317 მლნ. აშშ დოლარი (2.1%)
- პოლონეთი - 19.259 მლნ. აშშ დოლარი (1.9%)
- დანარჩენი ქვეყნები - 301.276 მლნ. აშშ დოლარი (30%)

## Kültürel Miras Hakkında Bilgi Almak QR Kod İle Mümkün Olacaktır

**კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ინფორმაციის მიღება QR კოდების საშუალებით იქნება შესაძლებელი**



ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

THY Bu Yıl 5 Bin Kişiyi İşe Alacak

„თურქეთის ავიახაზები“ მიმდინარე წელს 5 000 ადამიანს დაასაქმებს







“Gürcistan Bankası” Ermenistan’ın En Büyük Bankasını Satın Alıyor

„საქართველოს ბანკი“ სომხეთის ნომერ პირველ ბანკს ყიდულობს

Gürcü Kıymetli Metallerin İhracatı %612 Artış Gösterdi

ქართული ძვირფასი ლითონების ექსპორტი 612%-ით გაიზარდა



ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank



ünya Nüfusunun Yüzde 78'i Susuzluk Çekiyor

მსოფლიოს მოსახლეობის 78% წყლის რესურსების დეფიციტს განიცდის



Tiflis'te Bir Ayda 1,4 Milyon GEL Değerinde Park Cezası Kesildi

თბილისში პარკირებაზე ერთ თვეში 1,4 მლნ ლარის ჯარიმა დაიწერა

ARKAS GEORGIA LLC
EFES GEORGIA
K 777
LC Waikiki
იშბანკი İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
Ziraat Bank

## Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურს

USD/GEL – 2.6530 TRY/GEL – 0.0853 EUR/GEL – 2.8708 GBP/GEL – 3.3600

BTC/USD – 50,260.41

### USD/GEL

19 - 26 Şubat 2024




### USD/TR

19 - 26 Şubat 2024




### TRY/GEL

19 - 26 Şubat 2024




### USD/BTC

19 - 26 Şubat 2024

